

# ამრ & COVID-19



ანტიმიკრობული პრეპარატების მიმართ რეზისტენტობა (ამრ/AMR) ყალიბდება, როდესაც მიკროორგანიზმი (ბაქტერია ან ვირუსი) იცვლება გამოყენებული ანტიმიკრობული პრეპარატის ზემოქმედების შედეგად. ეს ცვლილება ნიშნავს, რომ ისინი ხდებიან რეზისტენტული (გამძლე) იმ წამლის მიმართ, რომლითაც ხდებოდა მკურნალობა. არსებობს ანტიმიკრობული პრეპარატების სხვადასხვა ტიპი, რომლებიც სხვადასხვა სახის მიკროორგანიზმზე მოქმედებენ. მაგ. ანტიბაქტერიული პრეპარატი ანუ ანტიბიოტიკი ბაქტერიებზე მოქმედებს, ანტივირუსული - ვირუსებზე, ანტიფუნგალური - სოკოებზე.

ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობა ყალიბდება ანტიბიოტიკების ხანგრძლივი და არამიზნობრივი გამოყენებით ადამიანებსა და ცხოველებში.

## ანტიბიოტიკები არ ახდენენ პრევენციას და არ მოქმედებენ ვირუსებზე, მ.შ COVID-19 გამომწვევ ვირუსზეც!



ანტიბიოტიკები მხოლოდ ბაქტერიული ინფექციის წინააღმდეგ მოქმედებს. უფრო მეტიც, არამიზნობრივი გამოყენება ზრდის ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობის ჩამოყალიბებას, რომელიც მკურნალობის ეფექტურობას აყენებს რისკის ქვეშ, თუნდაც მსუბუქი ინფექციის დროს.

## სწორად დასმული დიაგნოზი არის მთავარი!

სწორი დიაგნოზი გადამწყვეტია მკურნალობაში. ტესტირება ვირუსული (მაგალითად COVID-19-ს გამომწვევი ვირუსი) ინფექციის - ბაქტერიულსგან გარჩევას ეხმარება. ეს განაპირობებს ანტიბიოტიკების არამიზნობრივი დანიშვნის და გამოყენების შემცირებას, ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობის შემცირებას და პაციენტის მკურნალობის ოპტიმიზაციას.



## როდის შეიძლება COVID-19 პაციენტს დაენიშნოს ანტიბიოტიკი?



ზოგიერთ COVID-19 პაციენტს შეიძლება განუვითარდეს ბაქტერიული კო-ინფექცია. ამ შემთხვევაში, ექიმის მიერ პაციენტს შესაძლოა დაენიშნოს ანტიბიოტიკი მეორადი ინფექციის სამკურნალოდ.

## არასოდეს მიმართოთ ანტიბიოტიკებით თვითმკურნალობას!

მნიშვნელოვანია მიჰყვეთ ექიმის დანიშნულებას. თუ თავს გრძნობთ ცუდად, არ ეცადოთ თვით-დიაგნოზირებას და ანტიბიოტიკებით თვითმკურნალობას. გახსოვდეთ - ანტიბიოტიკი მიიღოთ მხოლოდ მაშინ, როცა ეს ექიმის მიერ არის დანიშნული!



## ყოველთვის დაიცავით ჰიგიენის წესები!

ხელების ჰიგიენა არის უმნიშვნელოვანესი COVID-19-ს პანდემიის დროს. დაიცავით ხელის ჰიგიენა ყველგან, სახლში და სამედიცინო დაწესებულებაში ხელების რეგულარული ბანვით. დაახველეთ და დააცემინეთ მოხრილ იდაყვში, ან ხელსახოცზე, რომელსაც შემდგომ მოათავსებთ ურნაში. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა ინფექციის, მათ შორის ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტული მიკროორგანიზმების, გავრცელების შესამცირებლად.



World Health Organization

REGIONAL OFFICE FOR Europe

#COVID19 #Coronavirus #AMR #antimicrobialresistance